

ძალაშია ხელმოწერის დღიდან

შეთანხმება

საქართველოს მთავრობასა და საბერძნეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის სტატისტიკის სფეროში თანამშრომლობის შესახებ

საქართველოს მთავრობა და საბერძნეთის რესპუბლიკის მთავრობა, შემდგომში “ხელშემკვერელ მხარეებად” წოდებულნი, ეყრდნობიან რა ურთიერთდანიტერესებას განავითარონ თანამშრომლობა სტატისტიკის სფეროში, გააფართოვონ ყოველსმომცველი ინფორმაციის გაცვლა და გააძლიერონ ორივე სახელმწიფოს სტატისტიკური ორგანოების ურთიერთთანამშრომლობა,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

ხელშემკვერელი მხარეები განახორციელებენ თანამშრომლობას შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

- სტატისტიკური მაჩვენებლების სისტემების, სტატისტიკური დაკვირვებებისა და აღწერის პროგრამებისა და მეთოდების შექმნისა და ფუნქციონირების შესახებ მეთოდოლოგიური მასალებისა და დოკუმენტაციის გაცვლა;

- სტატისტიკური ინფორმაციის გაცვლა მხარეებს შორის წინასწარ შეთანხმებულ თემებზე;

- სტატისტიკური გამოცემებისა და პუბლიკაციების გაცვლა (ყოველწლიური ცნობარების, კრებულების, ბიულეტენების, შეგყობინებებისა და მიმოხილვების, რომლებიც დაკავშირებულია თითოეული სახელმწიფოსა და მათ რეგიონებში მომხდარ სოციალურ-ეკონომიკურ ცვლილებებთან);

- კომპიუტერზე მუშაობის გამოცდილების გაზიარება, ურთიერთდახმარების გაწევა ავტომატიზირებული მონაცემების ბანკების შექმნის საქმეში, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა;

- ინფორმაციის გაცვლა პრაქტიკაში მიღებული სტატისტიკური აღრიცხვის სისტემაზე გადასვლის სახელმწიფო პროგრამების დამუშავებისა და განხორციელების მსვლელობის შესახებ;

- გამოცდილების გაზიარება საბუღალტრო აღრიცხვის სრულყოფისა და ეროვნული ანგარიშების დანერგვის საკითხების შესახებ;

- შეთანხმების საფუძველზე ერთობლივი სამეცნიერო კვლევების ჩატარება, აღრიცხვისა და სტატისტიკის საკითხების შესახებ ერთობლივი ტექნიკური პროექტების მომზადება;

- ერთობლივი შეხვედრების, სემინარებისა და კონფერენციების ორგანიზება, სახელმწიფო სტატისტიკური ორგანოების საქმიანობაში უახლესი მიმართულებებისა და დებულებების მოწინავე გამოცდილების შესწავლის მიზნით;

- ურთიერთთანამშრომლობა საერთაშორისო სტატისტიკურ ორგანიზაციებსა და მათ მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად.

მუხლი 2

საბერძნეთის რესპუბლიკის სტატისტიკის ეროვნული სამსახური პრაქტიკულ დახმარებას გაუწევს საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტს საბაზრო ურთიერთობების პირობებში სტატისტიკის განვითარების საკითხებში სპეციალისტებისათვის სასწავლო სემინარების ორგანიზებაში.

საქართველოს მხარე საბერძნეთის რესპუბლიკის სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში გააგზავნის თავის სპეციალისტებს მოსახლეობის აღწერის საკითხებში სტაჟირების გასაგებლად.

მუხლი 3

თითოეული ხელშემკვრელი მხარის მიერ სტატისტიკის სფეროში თანამშრომლობის შესახებ საერთაშორისო პროექტების მომზადების დროს, ხელშემკვრელი მხარეები ხელს შეუწყობენ მეორე მხარის, როგორც გენდერში მონაწილის, მოზიდვას.

მუხლი 4

ხელშემკვრელი მხარეები ხელს შეუწყობენ საქმიანობის მოგად თუ ცალკეულ სფეროებში ეკონომიკური შეთანხმებების დადებას მათ დაქვემდებარებაში მყოფ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს შორის.

მუხლი 5

ორმხრივი თანამშრომლობის ფინანსური მხარდაჭერის საკითხები შეთანხმებული იქნება ხელშემკვრელი მხარეების მიერ. ხელშემკვრელი მხარეები ფინანსური მხარდაჭერისათვის მიმართავენ იმ საერთაშორისო სტატისტიკურ და ეკონომიკურ ორგანიზაციებს, რომლებთანაც ისინი თანამშრომლობენ.

მუხლი 6

ხელშემკვრელი მხარეები ერთობლივად განიხილავენ შეთანხმების რეალიზაციის დროს წამოჭრილ პრობლემებს და მიიღებენ ზომებს მათ გადასაჭრელად.

აუცილებლობის შემთხვევაში, ამ შეთანხმებისა და ეკონომიკური შეთანხმებების შესრულების მსვლელობა განიხილება ოფიციალური დელეგაციების ღონებზე, მათი შესაბამისი სამსახურების კომპეტენციის გათვალისწინებით.

მუხლი 7

ორივე სახელმწიფო სტატისტიკური ორგანოების საქმიანობის კოორდინირებას ახორციელებს ერთობლივი მუშა ჯგუფი თითოეული ხელშემკვრელი მხარის სტატისტიკური ორგანოების ხელმძღვანელების მეთაურობით.

ხელშემკვრელი მხარეები, ამ შეთანხმების ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულების დროს, გამოიყენებენ ინგლისურ ენას, როგორც სამუშაო ენას.

მუხლი 8

ეს შეთანხმება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და ძალაში რჩება სამი წლის განმავლობაში. თუ ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარის მიერ არ იქნა გაგზავნილი წერილობითი შეტყობინება ამ შეთანხმების მოქმედების შეწყვეტის თაობაზე მისი ვადის გასვლამდე არანაკლებ ექვსი თვით ადრე, ეს შეთანხმება გააგრძელებს მოქმედებას შემდგომი სამწლიანი პერიოდებით.

შესრულებულია ე. ათენში 1997 წლის 16 სექტემბერს, ორ ორიგინალურ პირად, თითოეული ქართულ, ბერძნულ და ინგლისურ ენებზე, თითოეულ ტექსტს აქვს თანაბარი ძალა. უთანხმოების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ტექსტს ინგლისურ ენაზე.

საქართველოს მთავრობის
სახელით

საბერძნეთის რესპუბლიკის
მთავრობის სახელით